Published by TSU Press | DOI: [https://doi.org/10.62119/sjn.27.2026.12239]
© Tamar Barbakadze, Salome Lomouri, 2026 | ISSN 1512-2514 (print) | E-ISSN 2346-772X (online)
This is an open access article distributed under the terms of the Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License (CC BY-NC 4.0).
https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/
Sjani 27 (2026), [pp. 170-181]
sjani.ge

„ვეფხისტყაოსნის“ ვერსიფიკაციული პარამეტრების რაოდენობრივი ანალიზი ნესტან-დარეჯანის ორი წერილის მიხედვით

Quantitative Analysis of Versification Parameters in *„The Knight in the Panther's Skin“* Based on Nestan-Darejan's Letters

თამარ ბარბაქაძე, სალომე ლომოური
Tamar Barbakadze, Salome Lomouri
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
საქართველო, თბილისი
Georgia, Tbilisi

Received [1 May, 2026] | Accepted [1, July, 2026] | Published online [3 November]

Abstract

This paper presents a quantitative and qualitative analysis of the versification parameters in Shota Rustaveli's 12th-century epic poem, *The Knight in the Panther's Skin* (*Vepkhistqaosani*), with a specific focus on its lyrical interludes: the two pivotal letters written by the heroine, Nestan-Darejan, to Tariel. Building upon the foundational metrical studies of Giorgi Tsereteli and Akaki Khintibidze, the research investigates the intricate alternation of meter – specifically high and low *shairi* – alongside the unmatched lexical richness of Rustaveli's rhymes and the profound euphony of his text.

Tsereteli and Khintibidze established that Rustaveli's verse relies on strict cadence rules and achieves extraordinary musicality through a dominance of sonorant consonants. To achieve a precise quantitative assessment of these phonetic and

structural features, the study employs the digital humanities software CATMA (Computer Assisted Text Markup and Analysis). Custom tagsets were developed to thoroughly annotate and visualize metrical structures (high *shairi* 4/4//4/4 and low *shairi* 5/3//5/3), rhyme schemes, and phonetic distribution across the letters.

The analysis of Nestan-Darejan's first letter – in which she requests a *ride* (veil) as a battle trophy – reveals a deliberate structural transition where concepts introduced in the low *shairi* stanzas are dynamically concretized in the high *shairi* verses. The paper highlights the unprecedented, consecutive use of unique homonymic rhymes (e.g., *ushenosa, arideno*), a poetic phenomenon not found elsewhere in the epic. For instance, the low *shairi* cadence *shenisa* organically evolves into the complex homonymic *ushenosa*, shifting the semantic focus. Furthermore, phonetic visualization demonstrates that specific consonants (m, n, r, s) and the vowel 'a' heavily dominate the text. Notably, the pervasive alliteration of the consonant 'n' – the heroine's initial – serves as a core phonetic anchor that binds the stanzas together.

The examination of the second, sixteen-stanza letter, sent from the Kadjeti fortress, explores the interplay between narrative tempo and character psychology. While low *shairi* traditionally slows the pacing for descriptive purposes – such as depicting her physical captivity – the quantitative analysis reveals a high concentration of dynamic verbal rhymes in the high *shairi* sections. Additionally, the strategic use of pre-caesural internal rhymes (e.g., *samartali martali*) vividly conveys the protagonist's emotional agitation, psychological depth, and intellectual focus on profound justice. The second letter masterfully utilizes these shifting tempos and structural metaphors (comparing the body to a pen and the heart to paper) to amplify the heroine's grief.

Ultimately, the study concludes that Rustaveli's metrical alternation, phonetic choices, and rhythmic oppositions transcend formal poetic rules. Through digital and qualitative analysis, it becomes evident that these versification parameters serve as vital metaphorical instruments. They meticulously articulate the inner turmoil and intellectual rigor of the female protagonist, further confirming the unrivaled musicality, structural genius, and lexical wealth of Rustaveli's verse.

Keywords: Shota Rustaveli, Vepkhistqaosani, Versification, Shairi, Homonymic Rhyme, CATMA, Digital Humanities, Georgian Poetry

საკვანძო სიტყვები: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვერსიფიკაცია, შაირი, ომონიმური რითმა, CATMA, ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებები, ქართული პოეზია

რუსთაველის რითმის სიმდიდრე და უნიკალურობა მრავალგზის გამოიკვლიეს მეცნიერებმა; ასევე მნიშვნელოვანია „ვეფხისტყაოსნის“ საზომის, მაღალი და დაბალი შაირის, მონაცვლეობის საკითხი პოემაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მხრივ გიორგი წერეთლისა და აკაკი ხინთიბიძის წვლილი. გიორგი წერეთლის რედაქციით და კვლევით გამოცემული წიგნი „მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“. რითმათა სიმფონია, სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973) დაეხმარა აკაკი ხინთიბიძეს, შეექმნა უნიკალური გამოკვლევები: „რუსთაველის რითმა“, „შაირთა მონაცვლეობა „ვეფხისტყაოსანში“.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის, ე.წ. აკადემიური გამოცემის მიხედვით, პოემაში 1598 ბოლორითმაა, ხოლო 200-მდე შიდარითმა და თავრითმა გვაქვს მოცემული. მაღალ შაირში სავალდებულოა ორმარცვლიანი კადენციების იდენტურობა, ხოლო დაბალ შაირში სამმარცვლიანი კადენციებისა. ამ სავალდებულო კანონიდან, აკაკი ხინთიბიძის დაკვირვებით, პოემის მხოლოდ 49 ბოლორითმა და 77 შიდარითმა უხვევს (ხინთიბიძე, 2009, გვ. 217). ახსნილია შიდარითმებში არაიდენტურობის სიმრავლის მიზეზი: შიდარითმები ნებისმიერია და არა სავალდებულო.

გიორგი წერეთლის გამოკვლევის თანახმად, რუსთაველის რითმის მუსიკალურობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ გამოყენებულ თანხმოვანთა დიდი უმრავლესობა – 8304 – მჟღერი, ანუ სონორია (წერეთელი, 1973, გვ. 77), ხოლო მეორე ნაწილი სპირანტი, ანუ ყრუ – 3257. თანაც სარითმო სიტყვებში ხმოვნები აღემატება თანხმოვნებს და სარითმო სიტყვების კადენციები მრავალფეროვანია, ანუ რითმა ლექსიკურად და ფონიკურად მდიდარია.

გიორგი წერეთლის კვლევის მიხედვით, რუსთაველი გაცილებით ნაკლებად იმეორებს რითმის კადენციებს, ვიდრე დანტე ალიგიერი. განსაცვიფრებელია, რომ დანტე ალიგიერისაგან განსხვავებით, შოთა რუსთაველი იშვიათად ხმარობს ერთსა და იმავე სიტყვას რითმისათვის. „ვეფხისტყაოსანში“, ძირითადად, სიტყვა მხოლოდ ერთხელ არის ნახმარი სარითმოდ. ყოველი ახალი სტროფი პოემაში ახალი რითმით იწყება.

რითმის იდენტურობა უმაღლეს ხარისხს ომონიმურ რითმებში აღწევს, რომელთა რიცხვი პოემაში 62-ია, ამათგან თერთმეტი ოთხჯერადი, სამი სამჯერადი და დანარჩენი ორჯერადი.

ომონიმური რითმები პოემის სხვადასხვა ადგილას არის განლაგებული, მხოლოდ ერთგან, „თამარიანის“ მსგავსად, ორი ომონიმური რითმა ერთმანეთის გვერდით არის მოთავსებული: „უშენოსა – არიდენო“. ამ რითმებზე საგანგებოდ გავამახვილებთ ყურადღებას ჩვენს გამოკვლევაში.

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“, ძირითადად, 16-მარცვლიანი დაბალი და მაღალი შაირი მონაცვლეობს. „ვეფხისტყაოსნის“ ვერსიფიკაციის მკვლევართა აზრით, პოემაში მნიშვნელოვანია დაბალი შაირიდან (3/5//3/5) მაღალზე – (4/4//4/4) გადასვლის სპეციფიკური ხასიათი: მაღალ შაირში გვხვდება დაბალ შაირში გამოთქმული აზრის დაკონკრეტება – დაზუსტება.

ამ მხრივ საყურადღებოა პოემის ლირიკული ნაწილები – ნესტან-დარეჯანის მიერ ტარიელისათვის გაგზავნილი წერილები. ამ წერილების ვერსიფიკაციული პარამეტრებისა და იდეურ-სტილისტიკური კავშირების გამოსავლენად გამოვიყენეთ ლიტერატურის ციფრული კვლევებისთვის შექმნილი პროგრამა – CATMA (Computer Assisted Text Markup and Analysis), რომელიც ლიტერატურული ტექსტების „ანოტირების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ვიზუალიზების“ საშუალებას იძლევა (https://catma.de/). CATMA-ში შესაძლებელია ე.წ. „ტეგსეთების“ (tagsets) შექმნა, რომელიც აერთიანებს კონკრეტულ „ტეგებს“. ჩვეულებრივ, მკვლევრები CATMA-ში ტეგსეტებს კვლევის მიზნების მიხედვით ქმნიან. ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენს: მეტრიკა, რითმა და ევფონია. პროგრამაში შევქმენით შესაბამისი ტეგსეტები, რათა ვიზუალიზების საშუალებით გამოგვევლინა ამ სალექსო კომპონენტთა კორელაცია და გაგვეანალიზებინა რაოდენობრივი მონაცემები.

გამოვიყენეთ სამი ტეგსეტი:

1. ვერსფიკაციული მონაცემების, რომელიც ორ ტეგს – მაღალ (4/4//4/4) და დაბალ (5/3//5/3) შაირს აერთიანებს;


2. რითმის (მოსაზღვრე რითმის ტეგი);

3. ფონიკის / ევფონიის ტეგსეტი, რომელიც ტეგების სახით მოიცავს ქართული ანბანის ყველა ასოს.

მხატვრულ ტექსტში შესაბამისი მონაცემების ტეგებით მონიშვნის, ანუ ანოტირების შემდეგ შესაძლებელია ამ მონაცემთა ვიზუალიზება და მათი რაოდენობრივი ანალიზი.

რაოდენობრივი ანალიზისას მნიშვნელოვანია კვლევის საგნის განსაზღვრა. ტეგსეტებისა და ტეგების სწორად აგება დიდწილად ამაზეა დამოკიდებული. პროგრამაში შესაძლებელია როგორც ტეგების შექმნა საწყის ეტაპზე, ასევე, მათი მოგვიანებით, ანოტირებისას დამატება, საჭიროების მიხედვით.

CATMA-ს პროგრამაში გავაკეთეთ ხატაეთიდან დაბრუნებული ტარიელისადმი მიწერილი ნესტან-დარეჯანის წერილის ოთხი სტროფის ანოტირება, სადაც ინდოეთის პრინცესა ამირბარს სთხოვს საჩუქრად გაუგზავნოს საბრძოლო ნადავლი – რიდე.




1.1. *CATMA-ს პროგრამაში ანოტირებული ტექსტი – სამუშაო ველი*


ამ წერილის პირველი-მეოთხე სტროფები დაბალი შაირით არის შესრულებული, ხოლო მეორე-მესამე – მაღალი შაირით. ამავე სტროფებში ორიგინალური სიახლით გამოირჩევა მაღალი შაირით დაწერილი ორი სტროფის ომონიმური რითმები: უშენოსა-უშენოსა-უშენოსა-უშენოსა, არიდენო – არიდენო – არიდენო – არიდენო…

ეს რითმები უნიკალურია იმით, რომ მთელ პოემაში მხოლოდ ამ წერილში იჩენს თავს, თანაც მიყოლებთ, სხვაგან ამ სახით არ გვაქვს. ალიტერირებულ ბგერათა ანოტირებამ გვიჩვენა, რომ ამ ომონიმური რითმების საყრდენი თანხმოვნებია: შ, ნ, ს, ხოლო მეორე სტროფში საყრდენი თანხმოვნებია: რ, დ, ნ, საერთო თანხმოვანი ორივე სტროფისათვის არის ნ, რომელიც, ამავდროულად, არის ნესტან-დარეჯანის ინიციალი. იგივე ბგერები უხვად არის ალიტერირებული დაბალი შაირით შესრულებულ პირველ და მეოთხე (486-488) სტროფებში.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი (1.2) გვიჩვენებს ტეგების სიხშირის განაწილებას ტექსტის ფარდობით პოზიციებზე. ანალიზი ასახავს, თუ როგორ იცვლება სხვადასხვა ტეგის გამოჩენის ინტენსივობა ტექსტში კატრენთა მიხედვით. ამ გრაფიკში ჩანს ანბანის თითოეული ასოს განფენა ტექსტში, ხოლო მომდევნო ვიზუალიზება (გრაფიკი 1.3) ასახავს ხმოვანთა განფენას.




1.2 *ნესტან-დარეჯანის წერილში კატრენთა მიხედვით ასოთა გამეორება / განფენის გამომსახველი გრაფიკი*



1.3 *წესტან-დარეჯანის წერილში ხმოვანთა გამეორება / განფენის გამომსახველი გრაფიკი*

1.4 ცხრილში მოცემულია ბგერათა რაოდენობა. ამის მიხედვით აშკარა ხდება, რომ მოცემულ ოთხ კატრენში ყველაზე ხშირად ა- ხმოვანი მეორდება, თანხმოვანებიდან კი მ, ნ, რ და ს ბგერები სჭარბობს.



1.4 *ხმოვანთა და თანხმოვანთა რაოდენობა ნესტან-დარეჯანის პირველი საანალიზო წერილში*

დაბალი შაირით გამართულ რითმებში თვალსაჩინოა ნ- თანხმოვნის ინტენსივობა: „მთენისა – შენისა – ცხენისა – დენისა“, მეორე სტროფში: „გშვე-ნოდეს – მშვენოდეს – გა-ღა-ღვლენოდეს – არ გაგთენოდეს“. ამ სტროფებში ომონიმური, ანუ მაღალი შაირის სარითმო ერთეულებშიც: დაბალი შაირის

სარითმო ცალი – „შენისა“ მაღალი შაირის ომონიმურ რითმაში უფრო დიდ დინამიკურ კონკრეტულ ერთეულში გადაიზრდება: „უშენოსა“ დაბალი შაირით დაწერილი სტროფის „შენისა“ ტარიელს გულისხმობს, ხოლო ომონიმური დაბალი შაირის რითმა „უშენოსა“ ნესტან-დარეჯანს.

დაბალი შაირის ზედაქტილური 5-მარცვლიანი რითმა „ცრემლთა დენისა“ მაღალი შაირის ომონიმური რითმის „არ იდენო – არიდენო“ საყრდენი და შთამაგონებელია. დაბალი შაირი აქ აძლევს სტიმულს, რომ მაღალი შაირი შექმნას.

ცრემლთა დენის შეწყვეტის კონკრეტული მიზეზი გახდება რიდეს ჩუქება ნესტან-დარეჯანისათვის.

რითმის ევფონიისა და ალიტერაციის ანალიზი საინტერესო დასკვნას გვაპოვნინებს „შენ“ („შენ და რიდე“ ლექსიკური ერთეულების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.

უფრო ვრცელია ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილი წერილი ტარიელთან, (1280-1296) – სულ 16 სტროფია: ოთხჯერ ოთხი, 16 სტროფისაგან აგებული ამ ბარათის პირველი ორი სტროფი დაბალი შაირით არის დაწერილი. დაბალი, ანუ გრძელი, ნელი შაირით დაწერილ სტროფებში სიტყვათა მორფოლოგიის მიხედვით ნაკლები ზმნა უნდა იყოს, ვიდრე მაღალი შაირის სტროფებში. ზმნური რითმები დინამიკას, მოქმედებას, ფიქრის აქტიურობას აჩვენებს და წერილების მხატვრული ანალიზის დროს დამატებით ინფორმაციას გვაწვდის მთავარი გმირის ფსიქოტიპზე.

ისევე, როგორც პირველ წერილში, აქაც ყველაზე ხშირად თანხმოვნებიდან მ, ნ, ს და რ ბგერები გვხვდება, ხმოვნებიდან კი – ა.

დაბალი შაირით შესრულებულ სტროფებში უნდა აღვნუსხოთ აგრეთვე ერთმარცვლიანი სიტყვები, რომლებიც თხრობის ტემპს ანელებს.

Phrase	Frequency		
ა	344	შ	24
ი	219	ც	24
ე	218	ხ	24
მ	125	ბ	22
ნ	125	კ	20
ს	114	ტ	14
რ	93	ყ	14
ლ	80	ღ	12
დ	74	ფ	11
ო	70	ქ	11
უ	57	წ	10
გ	53	ჯ	7
ვ	53	ჭ	6
თ	34	ძ	5
ჩ	32	პ	2
ზ	25	ჟ	2
		ჯ	1

1.5 *ნესტან-დარეჯანის მეორე წერილში გამოყენებულ ასოთა რაოდენობა*

დაბალი შაირით დაწერილი სტროფები (11) აღემატება მაღალი შაირით დაწერილ კატრენებს (5). ქაჯეთის ციხის აღწერა ნესტან-დარეჯანის მიერ 5/3//5/3-ით არის შესრულებული. დაბალი შაირით შესრულებული კატრენი უფრო სასაუბრო ტონს ემყარება და ტროპული აზროვნებით არ გამოირჩევა (1287). სამაგიეროდ, სარითმო სიტყვები ოთხივე ტაეპისა, ზმნებით არის გადმოცემული: „გარდასწვდებიან – ზედა დგებიან – არ დასცდებიან – მოედებიან“.

მაღალი და დაბალი შაირით გამართული სტროფების (1290-1291) ორ- და სამმარცვლიანი რითმები (ქორეული და დაქტილური), რომლებიც, შესაბამისად, ორ- და სამმარცვლიანი სიტყვებით არის გადმოცემული: „შენი – მზენი – კლდენი – ფრთენი“ და: „შრომასა – ძრომასა – ნდომასა – კრთომასა – შესანიშნავად გადმოსცემს ნესტან-დარეჯანის სულიერი მღელვარების რიტმს.

ნესტან-დარეჯანის წერილი, ქაჯეთის ციხიდან საყვარელთან მოწერილი, პირველსავე კატრენის ბოლოს წინაცეზურულ/უკანაცეზურულ რითმებს გვთავაზობს: „**გულო, შავგულო** დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები“ (1280), ხოლო მეორე სტროფის მესამე ტაეპში ზმნები არის ცეზურის წინ გარითმული: „ბრძენნი **იცნობენ, სწუნობენ**“ (1281). ვფიქრობთ, წინაცეზურული რითმები ადეკვატურად გამოხატავს ბრძენი ასულის ნაგრძნობ-ნააზრევს.

ამ წერილის ბოლოსწინა სტროფში კვლავ წინაცეზურული, შეთავსებული რითმით: „ხამს **სამართალი მართალი**, **გულისა გულსა** მივა რად“ (1295) ინდოეთისაკენ და ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის ნესტანისეული შეფასებისაკენ გვაბრუნებს – „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. რითმისა და მეტრის მეშვეობით, მკითხველი აქტიურად მონაწილეობს იმ ტრაგედიაში, რაც „მართალი სამართლის“ აღსრულებას უკავშირდება.

მუსიკალური ოპოზიცია, რიტმული დაპირისპირება, სახეობრივ, ტროპულად განსხვავებულ მხატვრულ სახეთა იერარქიაში აისახება. ტანი –კალამი, მელანი – ნაღველი, გული – ქაღალდი, შენი – უშენოსა – უშენოდ – მეტაფორები გმირი ქალის განცდის სიღრმეს გვიჩვენებს.

ნესტანის ქაჯეთიდან გამოგზავნილი წერილი დაბალი შაირით გამართული სტროფით სრულდება და პირველი წერილის უნიკალური ომონიმური რითმის ორივე ცალი: „შენისა“ და „დენისა“ ერთმანეთის გვერდით: მსაზღვრელ-საზღვრულად წარმოგვიდგება: „შენეულისა რიდისა“, ამგვარი დამთხვევის აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან საანალიზო წერილებში შეიმჩნევა მსაზღვრელ-საზღვრულთა გამეორების კანონზომიერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

წერეთელი, გ. (1973). მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“. რითმათა სიმფონია, სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები. თბილისი: „მეცნიერება“.

ხინთიბიძე, აკ. (2009). ქართული ლექსის თეორია და ისტორია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Catma, https://catma.de/

References:

Catma, https://catma.de/

Khintibidze, Ak’. (2009). Kartuli leksis teoria da ist’oria”. [Theory and history of Georgian verse]. Tbilisi: Tbilisis universitetis gamomcemloba.

Ts’ereteli, G. (1973). Met’ri da ritma “Vepkhistq’aosanshi”. Ritmata simphonia, sitq’vata martsvlobrivi ganats’ilebis tskhrilebi. [Meter and rhyme in “The Knight in the Panther’s Skin”. Symphony of rhymes, tables of syllable distribution of words]. Tbilisi: “metsniereba”.